შპს დაზღვევის კომპანია “ქართუ”

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2011 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 4
ბალანსი 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 8

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს
2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შპს **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს (შემდგომში – *საწარმო*) 2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და წლიური ანგარიშგების აუდიტი. *საწარმო* დარეგისტრებულია 13.09.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს № 5/4-2960 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204970031, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. მისი რეგისტრაცია ჩატარებულია *„მეწარმეთა შესახებ“* საქართველოს კანონის შესაბამისად. *საწარმო* დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს. *საწარმოს* საწესდებო კაპიტალი უდრის 2,670,300 ლარს. მისი დამფუძნებლები არიან: კომპანია „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 31%-ს და სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ (საქართველო), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 69%-ს.

2. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი *„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“* საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. თანახმად. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში.

3. აუდიტისათვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთაღნიშნული *საწარმოს* ხელმძღვანელს. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

4. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, შპს **„დაზღვევის კომპანია ქართუ“**-ს 2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვა, წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობის დაცვით. წარმოდგენილი 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ***ბასს 1*** *და* ***ბასს 7*** მოთხოვნების შესაბამისად და ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

გენერალური დირექტორი, სერტიფიცირებული აუდიტორი
სადაზღვევო აუდიტში, ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი **გიორგი ცერცვაძე**
22.03.2012 წ

	შენიშვნა	2 011	2 010
მოზიდული ჯამური პრემია		9 747 446	11 010 454
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		342 868	(537 932)
გადაზღვევის ხარჯი		(306 681)	(143 081)
შემოსავალი კონტრაქტების ფრონტინგიდან			
გამომუშავებული პრემია:	3	***9 783 634***	***10 329 440***
სადაზღვევო ზარალები		(7 922 533)	(9 040 011)
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:		***1 861 101***	***1 289 430***
მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი		61 503	(77 802)
განხცადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		(100 077)	(62 590)
მიწოდების სხვა ხარჯები		(2 411)	(3 625)
ადმინისტრაციული ხარჯები	4	(578 931)	(595 229)
სულ საოპერაციო მოგება:		***1 241 185***	***550 184***
ფინანსური შემოსავალი	5	83 725	83 502
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		27 843	529
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		129 183	10 686
მოგება დაბეგვრამდე:		**1 481 937**	**644 900**
მოგების გადასახადი		(224 584)	(84 958)
პერიოდის მოგება (ზარალი)		**1 257 352**	**559 941**

დირექტორი ———————————————————————— *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ———————————————————— *კოტე მურადაშვილი*

შპს დაზღვევის კომპანია "ქართუ"
ბალანსი
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	ბალანსი 01.01.2012	ბალანსი 01.01.2011
სულ მიმდინარე აქტივები:		***5 781 507***	***4 703 952***
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	5 259 357	3 838 358
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	7	374 771	650 112
სხვა მიმდინარე მოთხოვნები		2 349	20 159
საქონელი		5 972	4 175
წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	1 805	1 523
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი		94 088	145 313
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	9	43 167	44 313
სულ გრძელვადიანი აქტივები		***106 065***	***122 509***
ძირითადი საშუალებები	10	58 825	84 324
არამატერიალური აქტივები		6 050	12 804
გადავადებული საგადასახადო აქტივი		26 190	10 381
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	11	15 000	15 000
აქტივები სულ:		***5 887 573***	***4 826 461***
სულ მიმდინარე ვალდებულებები		***841 020***	***694 402***
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		6	8
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება		61 543	60 828
გადასახდელი გადასახადები	12	142 215	14 081
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		474 599	536 102
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		162 657	62 580
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			20 803
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		***407 647***	***750 516***
გადავადებული მოგების გადასახადი			
გადავადებული შემოსავალი		407 647	750 516
ვალდებულებები სულ:		***1 248 668***	***1 444 918***
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	2 670 300	2 670 300
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		1 968 605	711 243
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		*1 257 352*	*559 941*
კაპიტალი სულ:		***4 638 905***	***3 381 543***
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		***5 887 573***	***4 826 461***

დირექტორი ———————————————————————— *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ———————————————————— *კოტე მურადაშვილი*

	2011	2010
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	10 002 882	10 561 169
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(234 389)	(228 068)
ანაზღაურებული ზარალები	(7 808 435)	(9 179 510)
გადამზღვევის მიერ ანაზღაურებული ზარალები	4 734	2 347
გადახდილი აგენტების საკომისიოები		
გადახდილი ხელფასები	(321 494)	(320 626)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(48 216)	(17 212)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(1 410)	
გადახდილი საიჯარო ქირა	(84 466)	(73 527)
გადახდილი მოგების გადასახადი	(112 000)	(109 000)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(88 192)	(95 369)
ფულადი სახსრები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(1 382)	(36 795)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***1 307 631***	***503 408***
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(3 313)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		
მიღებული პროცენტები	84 871	81 756
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***84 871***	***78 443***
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან		
მიღებული გრძელვადიანი სესხები		
გადახდილი გრძელვადიანი სესხები		
გადახდილი პროცენტები		
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი		
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	28 496	325
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	***1 420 999***	***582 176***
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	**3 838 358**	**3 256 182**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	**5 259 357**	**3 838 358**

დირექტორი ——————————————————————— *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ——————————————————— *კოტე მურადაშვილი*

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრისთვის	**2 670 300**	**-**	**-**	**151 301**	**2 821 601**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)					-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)				559 941	**559 941**
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის	**2 670 300**	**-**	**-**	**711 243**	**3 381 543**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)					-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)				1 257 352	**1 257 352**
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისათვის	**2 670 300**	**-**	**-**	**1 968 595**	**4 638 895**

დირექტორი ——————————————————————— *არჩილ მამაცაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ——————————————————— *კოტე მურადაშვილი*

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს დაზღვევის კომპანია "ქართუ" (შემდგომში – კომპანია) დაარსდა 2001 წლის წლის 13 სექტემბერს საქართველოს *"მეწარმეთა შესახებ"* კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგებს 2670300 ლარს. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლების იყვნენ კომპანია „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ" (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 31%-ს და სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ" (საქართველო), რომელიც ფლობს *საწარმოს* კაპიტალში წილის 69%-ს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა. მიუხედავად ამისა კომპანიის 2011 წლის შემოსავლების 96%-ს შეადგენდა შემოსავალი სამედეცინო დაზღვევიდან.

2011 წლის განმავლობაში კომპანიას საშუალოდ ყავდა 25 თანამშრომელი.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო პოლისების გაყიდვით. კომპანია პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისისა თუ გარანტიის მოქმედება. პოლისის და გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (გარანტიის საკომისიოს) სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავალი"-ის მუხლში.

სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში, „გადავადებული შემოსავალის" გრძელვადიან ვალდებულებათა მუხლში.

სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვები ფორმირების წესს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი – *გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი.*

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი წარმოადგენს საანგარიშო წელს მოზიდულს, მაგრამ შემდეგ პერიოდებზე გადასულ სადაზღვევო პრემიას.

მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენს ლარში შექმნილ საანგარიშო პერიოდის ანარიცხებს, რომელიც იქმნება წლის ბოლოს იმ სადაზღვევო ზარალებისთვის რომლების განეკუთვნებიან საანგარიშო პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში მათ შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. ეს რეზერვი იქმნება სადაზღვევო პოლისების წმინდა რისკიგან გამომდინარე, ანუ გადაზღვევის პოლისების არსებობის გათვალისწინებით.

ანარიცხები

ანარიცხები ბალანსში ტარდება იმ შემთხვევაში თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბაკო დეპოზიტებზე.

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მოსალოდნელი მისაღები თანხების ოდენობით, საეჭვო სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების გათვალისწინებით.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს სადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

გადასახადები

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადისაგან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადი პირდაპირ აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის უკავშირდება უშუალოდ კაპიტალის მუხლებს. ასეთ შემთხვევებში მოგების გადასახადი აისახება პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე წლის გადასახდელ გადასახადს, რომლითაც იბეგრება ერთი წლის შემოსავალი იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს საანგარიშო პერიოდისათვის. ასევე ამ დროს ხდება წინა წლებში გადახდილი გადასახადების კორექტირება.

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნების თანხებს შორის დროებითი სხვაობით.

3. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია

2010 და 2011 წლების განმავლობაში კომპანიამ მიიღო შემოსავალი შემდეგი სახის სადაზღვევო პოლისების გაყიდვით:

	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)	2010 (ლარი)
	უბედური შემთხვევა	**ფინანსური რისკები**	**სიცოცხლის დაზღვევა**	**სამედიცინო დაზღვევა**	**ტვირთების დაზღვევა**	**ავტომობილების დაზღვევა**	**საავიაციო დაზღვევა**	**სამოგზაურო დაზღვევა**	**ქონების დაზღვევა**	**სულ**
გამომუშავებული პრემია	11 629	1 305	1 150	10 242 314	77 232	34 440	62 290	1 263	40 899	**10 472 522**
გადაზღვევის ხარჯი	(10 614)		(704)		(11 184)	(26 776)	(60 658)	(551)	(32 594)	**(143 081)**
	1 015	**1 305**	**446**	**10 242 314**	**66 048**	**7 665**	**1 632**	**712**	**8 305**	**10 329 440**

	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)
	უბედური შემთხვევა	**ფინანსური რისკები**	**სიცოცხლის დაზღვევა**	**სამედიცინო დაზღვევა**	**ტვირთების დაზღვევა**	**ავტომობილების დაზღვევა**	**საავიაციო დაზღვევა**	**სამოგზაურო დაზღვევა**	**ქონების დაზღვევა**	**სულ**
გამომუშავებული პრემია		32 570	2 515	9 674 987	90 400	43 157	171 424	1 901	73 360	**10 090 315**
გადაზღვევის ხარჯი		(31 877)	(1 861)		(10 084)	(33 623)	(169 284)	(951)	(59 001)	**(306 681)**
	0	**693**	**654**	**9 674 987**	**80 315**	**9 534**	**2 140**	**951**	**14 359**	**9 783 634**

4. ადმინისტრაციული ხარჯები

	2011 (ლარი)	2010 (ლარი)
შრომის ანაზღაურება	408468	406845
იჯარა	81304	73527
საოფისე ინვენტარის ხარჯი		8525
საკანცელარიო ხარჯები	5970	5535
კომპიუტერის და კომუნიკაციის ხარჯები	17303	7919
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	33 273	28 122
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	5 000	3 597
საგადასახადო ხარჯები	816	1 254
საბანკო ხარჯები	5485	17 067
წარმომადგენლობითი ხარჯები	3 249	2 830
სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	18 064	40 008
	578931	**595229**

5. ფინანსური შემოსავალი

კომპანიამ 2011 წლის განმავლობაში, ისევე როგორც 2010 წელს სამ სხვადასხვა ბანკში – სს ბანკი ქართუში, სს ბაზისბანკში და სს პროკრედიტბანკში –განათავსა საკუთარი ფულადი სახსრები. კომპანიის 2011 წლის ფინანსურ შემოსავალი წარმოადგენდა ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი – 83 725 ლარი.

ვინაიდან კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს მის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი სხვა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 01.01.2012 (ლარი)	ნაშთი 01.01.2011 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	1212	145
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	4566044	3146114
დეპოზიტები	692100	692100
	5 259 357	**3 838 358**

7. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება სამედიცინო, ტვირთების, ავტომობილების, საავიაციო, სამოგზაურო და ქონების დაზღვევიდან, სულ 374 771 ლარის ოდენობით. კომპანიის სრული დებიტორული დავალიანების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)
სამედიცინო დაზღვევა	309 207	583 924
ტვირთების დაზღვევა	2 043	617
ავტომობილების დაზღვევა	1 400	3 581
საავიაციო დაზღვევა	62 636	61 108
სამოგზაურო დაზღვევა	(515)	11
ქონების დაზღვევა		870
	374 771	**650 112**

8. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ერიცხებოდა წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	21	22
წინასწარ გადახდილი სოციალური გადასახადი	50	50
წინასწარ გადახდილი სხვა გადასახები	22	22
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	1 228	1 428
	1 322	**1 522**

9. მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ქართუ ბანკში, ბაზისბანკსა და პროკრედიტ ბანკში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა 40 921 ლარი, 1 372 ლარი და 873 ლარი შესაბამისად.

10. ძირითადი საშეალებები და არამატერილური აქტივები

	შენობა-ნაგებობები (GEL)	იჯარით აღებული ქონების რემონტი (GEL)	სატრანსპორტო საშუალებები (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			28066	106682			16885	**151633**
დამატება				1021				**1021**
(შემცირება)								**0**
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0**	**0**	**28066**	**107703**	**0**	**0**	**16885**	**152654**
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება								
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			7811	42613			4081	**54505**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი			5613	20906			6754	**33273**
ჩამოწერა								**0**
ნარჩენი ღირებულება 2011წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0**	**0**	**14642**	**44183**	**0**	**0**	**6050**	**64875**

11. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანიას დაფუძნებული ჰყავს შვილობილი კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეესტრი სსმ", რომელიც დარეგისტრებულია 18.10.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულის სასამართლოს № 5/4-3005 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204975438, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. საწარმო ფლობს შპს „რეესტრი სსმ"-ის საწესდებო კაპიტალში წილის 100%-ს. შპს „რეესტრი სსმ"-მა თავის მხრივ, ასევე 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, 2003 წლის 29 იანვარს დააფუძნა კიდევ ერთი შვილობილი კომპანია შპს „დიაბაზი", რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულის სასამართლოს № 5/4-3466 დადგენილებით

12. გადასახდელი გადასახადები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა გადასახდელი მოგების გადასახადი – 142 215 ლარი და ზედმეტად გადახდილი ქონების გადასახადი – 475 ლარი.

13. საწესდებო კაპიტალი

2011 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2,670,300 ლარს, რომელიც პერიოდის ბოლოსთვის მთლიანად იყო შევსებული ფულადი ფორმით.

14. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდი, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამთავრა 1 257 352 ლარის მოგებით რაც ადასტურებს რომ კომპანია აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს განმარტების მოთხოვნას.